



Empowered lives.
Resilient nations.

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებებზე ცნობიერების
ამაღლების კამპანია ეროვნული და ეთნიკური უმცირესობების
წარმომადგენლებისათვის

თბილისი
2014 წელი

გამოცემულია გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) ხელშეწყობით.

წინამდებარე გამოცემაში გამოთქმული მოსაზრებები ავტორისეულია და შეიძლება არ ასახავდეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ან გაეროს განვითარების პროგრამის თვალსაზრისს.

შესავალი

1	შესავალი.....	5
2	განხორციელებული აქტივობები	5
2.1	კახეთი	5
2.2	ქვემო ქართლი	6
2.3	სამცხე-ჯავახეთი	6
3	პროექტის ფარგლებში იდენტიფიცირებული პრობლემები.....	6
3.1	მძიმე სოციალური ფონი/სიღარიბე.....	7
3.2	შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ დაბალი ცნობიერება და ინფორმაციის ნაკლებობა/არქონა.....	9
3.3	ენობრივი ბარიერი.....	10
3.4	ქალთა ნაკლები ჩართულობა.....	10
3.5	შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საჭიროებების უგულებელყოფა და ვალდებულებების შეუსრულებლობა სოფლის (ოჯახის) ექიმების მხრიდან.....	10
3.6	ფსიქოტროპული მედიკამენტების მიწოდების პრობლემა.....	11
3.7	გარემოს ხელმისაწვდომობა.....	12
3.8	მარნეულის იუსტიციის სახლის ხელმისაწვდომობის პრობლემა	13
3.9	ახალქალაქის საჯარო სკოლების ხელმისაწვდომობა	13
3.10	სამედიცინო-სოციალური ექსპერტიზის განმახორციელებელი სამედიცინო დაწესებულებების გეოგრაფიული ხელმისაწვდომობა.....	13
	მოქალაქე მ.მ.-იანის უფლების სავარაუდო დარღვევა	14
3.11	ინკლუზიური განათლების უფლების სრულფასოვანი რეალიზების პრობლემა	14
3.12	სმენისა და მეტყველების შეზღუდვის მქონე პირის განათლების მიღების უფლების შეზღუდვა.....	15
3.13	შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების უფლებებისა და სახელმწიფო ვალდებულებების თაობაზე ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეთა გადამზადების საჭიროება	16
3.14	რეგიონებში სამოქალაქო სექტორის გაძლიერების აუცილებლობა .	16
4	სავარაუდო უფლება-დარღვევების შესწავლა.....	17
5	საქართველოს სახალხო დამცველის რეკომენდაციები	17
	საქართველოს სახალხო დამცველი რეკომენდაციით მიმართავს საქართველოს მთავრობას:.....	17

საქართველოს სახალხო დამცველი რეკომენდაციით მიმართავს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს:	17
საქართველოს სახალხო დამცველი რეკომენდაციით მიმართავს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს:.....	18
საქართველოს სახალხო დამცველი რეკომენდაციით მიმართავს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს:.....	18
საქართველოს სახალხო დამცველი რეკომენდაციით მიმართავს საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს:.....	18
საქართველოს სახალხო დამცველი რეკომენდაციით მიმართავს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს:	19
საქართველოს სახალხო დამცველი რეკომენდაციით მიმართავს საზოგადოებრივ მაუწყებელს და რეგიონულ მედია-საშუალებებს	19
საქართველოს სახალხო დამცველი რეკომენდაციით მიმართავს ინტერნეტ-პროვაიდერებს:.....	20

1 შესავალი

წინამდებარე დოკუმენტი ასახავს 2014 წლის ნოემბერში გაეროს განვითარების პროგრამის ფარგლებში საქართველოს სახალხო დამცველის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის ცენტრის მიერ განხორციელებული საქმიანობის ანგარიშს.

პროექტის მიზანს წარმოადგენდა საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მიერ ეროვნული და ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების უფლებებზე ცნობიერების დონის ამაღლების კამპანიის ჩატარება საქართველოს რეგიონებში, ადგილზე მიღებული ინფორმაციის ანალიზი, საქართველოს სახალხო დამცველის მიერ გამოვლენილი ადამიანის უფლებების სავარაუდო დარღვევის ფაქტების შესწავლა და შესაბამისი რეკომენდაციების/წინადადებების/შუამდგომლობების შემუშავება.

ანგარიშში მიმოხილულია განხორციელებული აქტივობები, საუბარია გასვლითი ვიზიტების დროს გამოვლენილ პრობლემებზე, უფლებადარღვევის კონკრეტულ ფაქტებზე. ნაშრომში ასევე ასახულია საქართველოს სახალხო დამცველის რეკომენდაციები შესაბამისი უწყებების მიმართ.

პროექტის დაფარვის არეალი: კახეთი (იორმულანლო, კაბალი, პანკისი), სამცხე-ჯავახეთი (ახალქალაქი) და ქვემო ქართლი (ბოლნისი, მარნეული). შესაბამისად, დაიგეგმა და განხორციელდა 6 გასვლითი ვიზიტი; მოეწყო 8 ფოკუსური ჯგუფი.

გასვლით შეხვედრებში მონაწილეობა მიიღო სულ 117 მოქალაქემ.

2 განხორციელებული აქტივობები

2.1 კახეთი

2014 წლის 12-14 ნოემბერს, პროექტის ფარგლებში, საქართველოს სახალხო დამცველის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის ცენტრის წარმომადგენლები იმყოფებოდნენ კახეთის რეგიონში - საგარეჯოს, ლაგოდეხისა და ახმეტის მუნიციპალიტეტებში.

შეხვედრები გაიმართა საგარეჯოს მუნიციპალიტეტის იორმულანლოს ტერიტორიულ ერთეულში, ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სოფელ კაბალსა და ახმეტის მუნიციპალიტეტში შემავალ სოფლებში - დუისსა და ჯოყოლოში.

გასვლითი ვიზიტების დროს გამართულ შეხვედრებში მონაწილეობდნენ ადგილობრივი მოსახლეობის, ძირითადად ეროვნული და ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლები, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები,

მათი ოჯახის წევრები, თვითმმართველი ორგანოების მოხელეები, სოციალური მომსახურების სააგენტოს ადგილობრივი სამსახურების თანამშრომლები, სოფლის (ოჯახის) ექიმები, საჯარო სკოლის პედაგოგები, რეგიონების არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლები.¹

2.2 ქვემო ქართლი

21 ნოემბერს მორიგი ვიზიტი განხორციელდა ბოლნისის მუნიციპალიტეტის სოფელ ბოლნისში.

24 ნოემბერს შეხვედრა გაიმართა მარნეულის მუნიციპალიტეტში. ფოკუს-ჯგუფი მოეწყო მარნეულის დემოკრატიული ჩართულობის ცენტრში.

2.3 სამცხე-ჯავახეთი

2014 წლის 25 ნოემბერს გასვლითი ვიზიტი შედგა სამცხე-ჯავახეთში, ქალაქ ახალქალაქში. ფოკუს-ჯგუფები მოეწყო საქართველოს სახალხო დამცველის სამცხე-ჯავახეთის ოფისში, ასევე, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვთა დღის ცენტრში - „რეა“.

საქართველოს სახალხო დამცველის წარმომადგენლებმა შეხვედრების მონაწილეებს გააცნეს ინფორმაცია ადამიანის უფლებების, მათ შორის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ, სახელმწიფო პროგრამების, საქართველოს სახალხო დამცველის საქმიანობის შესახებ ინფორმაცია.

3 პროექტის ფარგლებში იდენტიფიცირებული პრობლემები

მუნიციპალიტეტებში განხორციელებული გასვლითი შეხვედრების დროს გამოიკვეთა აქტუალური პრობლემები ეროვნული და ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების უფლებების დაცვის კუთხით. მათ შორის:

- მძიმე სოციალური ფონი/სიღარიბე;
- შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ დაბალი ცნობიერება;
- ინფორმაციის ნაკლებობა/არქონა უფლებების თაობაზე;
- ენობრივი ბარიერი;

¹ შეხვედრის მონაწილეთა სამიზნე ჯგუფი ერთნაირი იყო.

- ქალთა ნაკლები ჩართულობა;
- შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საჭიროებების უგულვებელყოფა და ვალდებულებების შეუსრულებლობა სოფლის (ოჯახის) ექიმების მხრიდან;
- გარემოს ხელმისაწვდომობა;
- ფსიქოტროპული მედიკამენტების მიწოდების პრობლემა;
- სამედიცინო-სოციალური ექსპერტიზის განმახორციელებელი სამედიცინო დაწესებულებების გეოგრაფიული ხელმისაწვდომობა;
- შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის სტატუსის განსაზღვრა;
- ინკლუზიური განათლების უფლების სრულფასოვანი რეალიზება;
- ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეთა გადამზადების საჭიროება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების უფლებებისა და სახელმწიფო ვალდებულებების თაობაზე;
- რეგიონებში სამოქალაქო სექტორის გაძლიერების აუცილებლობა.

3.1 მძიმე სოციალური ფონი/სიღარიბე

ყველა რეგიონისთვის განსაკუთრებულ პრობლემას წარმოადგენს მძიმე სოციალურ-ეკონომიკური ფონი. შეხვედრებში მონაწილე მოქალაქეთა უმრავლესობა აღნიშნავს, რომ ცხოვრობს სიღატაკეში, განიცდის მძიმე სოციალურ-ეკონომიკურ გაჭირვებას. არ არიან დასაქმებულნი, მწირია სოციალური პაკეტის (პენსიის) ოდენობა.

უმუშევრობა განსაკუთრებით უარყოფითად აისახება იმ ოჯახებზე, რომელთა შემადგენლობაში არიან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები. მძიმე მდგომარეობის მიუხედავად, ბევრი მათგანი ვერ იღებს საარსებო შემწეობას. სახელმწიფოს მიერ დადგენილი სოციალური ბენეფიტი, სოციალური პაკეტის სახით, ვერ უზრუნველყოფს ამ პირებისა და მათი ოჯახების ფინანსურ მდგრადობასა და საჭიროებებს. ხშირად არ ხდება მათი საბაზისო მოთხოვნილებების დაკმაყოფილება. უჩივიან სახელმწიფოს მიერ დადგენილი ოჯახის სარეიტინგო ქულის მინიჭებისა და მისი გასაჩივრების პროცედურების არაეფექტურობას.

მოქალაქეთა უმრავლესობა ითხოვს ფულადი დახმარების დანიშვნას.

მ.წ.-ის სოციალურ-ეკონომიკური უფლების სავარაუდო დარღვევის ფაქტი

კახეთის რეგიონში ვიზიტის დროს სახალხო დამცველის აპარატის წარმომადგენლებისათვის ცნობილი გახდა ლაგოდეხის მუნიციპალიტეტში

მცხოვრები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის მ.ნ.-ის სოციალურ-ეკონომიკური უფლების სავარაუდო დარღვევის შესახებ.

მ.ნ.-ი ავღანეთის ომის ვეტერანია, მობილობის შეზღუდვის მქონე. ამპუტირებული აქვს ორივე ქვედა კიდური. უჭირს ეტლით გადაადგილებაც კი. არის სახელმწიფო სოციალური პაკეტის მიმღები, მაგრამ არ იღებს სახელმწიფო შემწეობას.

მოქალაქის ინფორმაციით, 2014 წლის 14 აპრილს მოხდა მისი ოჯახის შეფასება და მიენიჭა მაღალი სარეიტინგო ქულა(84 990); შესაბამისად, ვერ იღებს უმწეო ოჯახების დახმარებას. მ.ნ.-ს მიაჩნია, რომ სარეიტინგო ქულა არ შეესაბამება ოჯახის რეალურ მდგომარეობას და მისი გაზრდა შესაძლოა ნაწილობრივ განპირობებული იყოს დეკლარაციაში საბჭოთა წარმოების ავტომობილის მითითებით, რომელიც მ.ნ.-ის განმარტებით, ერთადერთი და შეუცვლელი საშუალებაა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის გადასადგილებლად. რეგიონში, სადაც აღნიშნული პირი ცხოვრობს, არაადაპტირებული გარემოს გამო შეუძლებელია ქვედა კიდურების არმქონე ადამიანისათვის გადაადგილება ავტომობილის გარეშე.

„შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის თანახმად, სახელმწიფო ორგანოები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს უქმნიან სათანადო პირობებს ტრანსპორტითა და სატრანსპორტო კომუნიკაციებით თავისუფლად ორიენტირებისა და გადაადგილებისათვის. ამავე კანონის 24-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების სოციალური დახმარების ფარგლებში გათვალისწინებულია მათი ავტომობილებით უზრუნველყოფა. კანონის აღნიშნული ჩანაწერი განსაკუთრებით რელევანტურია მოქალაქე მ.ნ.-ის შემთხვევაში, ზემოთ მოყვანილი გარემოებების გამო.

მოცემულ შემთხვევაში საქართველოს კანონმდებლობითა და საერთაშორისო სამართლის ნორმებით გარანტირებული ღირსეული ცხოვრების უზრუნველყოფის სახელმწიფო ვალდებულება, სამწუხაროდ, გაზიარებული არ არის სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ.

ო.კ.-ის საქმე

სახელმწიფო შემწეობის მიღების პრობლემა აქვს ბოლნისის მუნიციპალიტეტში მცხოვრებ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირს ს. ბ.-იანს. ს.ბ.-იანი, სტატუსის საფუძველზე დანიშნული სოციალური პაკეტის პარალელურად იღებდა სოციალურ დახმარებას, რომელიც შეუწყდა ოჯახის წევრის (დედის) გარდაცვალების შემდეგ. მოქალაქე ითხოვს საარსებო შემწეობის განახლებას.

უ. ა.-ვის საქმე

მოქალაქე უ.ა.-ვის (საგარეჯოს მუნიციპალიტეტი) მეუღლე და ერთი შვილი არიან მხედველობის არმქონენი, მეორე შვილს აქვს მობილობის შეზღუდვა, გადაადგილდება ყავარჯნებით. 2014 წლიდან მათ შეუწყდათ სოციალური დახმარება. ოჯახს აქვს დახმარების აღდგენის საჭიროება.

3.2 შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ დაბალი ცნობიერება და ინფორმაციის ნაკლებობა/არქონა

ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრობლემად რჩება საზოგადოებში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების საკითხების დაბალი ცოდნა. კვლავ მძლავრია სტერეოტიპი, რომლის თანახმადაც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები ითვლებიან სხვაზე დამოკიდებულ პირებად, მხოლოდ ქველმოქმედებისა და სამედიცინო ჩარევის ობიექტებად. საზოგადოება არ აღიარებს მათ ადამიანის უფლებების მატარებელ სუბიექტებად. ხშირად ოჯახის წევრების (მშობლები, შვილები, მეუღლეები) მხრიდანაც კი ხდება მათი უფლებებისა და საჭიროებების უგულებელყოფა.

ფოკუს-ჯგუფების მსვლელობის დროს გამოიკვეთა, რომ ძალიან დაბალია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების ინფორმირებულობის ხარისხი და სამართლებრივი ცნობიერებაც. ამ ადამიანებმა ცოტა რამ იციან საკუთარი უფლებებისა და მათ მიმართ სახელმწიფო სტრუქტურების ვალდებულებათა შესახებ. მოქალაქეები არ ფლობენ ინფორმაციას არსებული სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის განკუთვნილი სერვისების შესახებ.

დისკუსიების დროს გამოიკვეთა არასწორი ადრესატის მიმართ გაკეთებული წერილობითი მიმართვის პრობლემატიკა. არის შემთხვევები, როდესაც რეგიონებში მცხოვრები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები ან მათი კანონიერი წარმომადგენლები ადგილობრივ მუნიციპალიტეტებს მიმართავენ სახელმწიფო ხელისუფლების მიერ განხორციელებული პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებული დახმარების მოთხოვნით (მაგალითად, დამხმარე საშუალებების მიღება), რაზედაც იღებენ უარს.

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებმა არ იციან, რომ უფლება აქვთ თავად ჩაერთონ პროცესებში და საკუთარი პრობლემები/საჭიროებები მოავარონ/გადაწყვიტონ ადგილობრივი თვითმმართველობის დონეზე, მონაწილეობა მიიღონ სამომავლო პროგრამებისა და ინიციატივების დაგეგმვაში. რაც, თავის მხრივ, ხელს უშლის მათი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების სრულფასოვან რეალიზაციას.

3.3 ენობრივი ბარიერი

ეთნიკური და ეროვნული უმცირესობების წარმომადგენლებთან შეხვედრებმა ცხადყო ენობრივი ბარიერის არსებობა; ეს კი ერთ-ერთი ხელისშემშლელი ფაქტორია მოქალაქის მიერ საჭირო ინფორმაციის, მათ შორის სახელმწიფოს მხრიდან დაგეგმილი ღონისძიებებისა და პროგრამების, სერვისების, სოციალური ბენეფიტების შესახებ ინფორმაციის მიღების დროს.

ენობრივი ბარიერის გამო ადგილობრივ მოსახლეობას უჭირს კომუნიკაცია მომსახურების სხვადასხვა სფეროს წარმომადგენლებთან.

არის შემთხვევები, როცა ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეთა ნაწილი არ ფლობს სახელმწიფო ენას.

პროექტის განმავლობაში საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის წარმომადგენლები მოქალაქეებთან კომუნიკაციას ამყარებდნენ იმ პირთა დახმარებით, რომლებიც სახელმწიფო ენის პარალელურად ფლობენ ეროვნული და ეთნიკური უმცირესობების ენებს.

3.4 ქალთა ნაკლები ჩართულობა

რეგიონებში გასვლითი შეხვედრების დროს კიდევ ერთი პრობლემა დაფიქსირდა, რომელიც ეხება ქალთა ნაკლებ ჩართულობას უფლებების დაცვის კუთხით, მათ პასიურობას გადაწყვეტილებების მიღების პროცესში. აღნიშნული ეხება როგორც მათი პირადი, ისე ოჯახის წევრებთან დაკავშირებული უფლებების დაცვას.

ქალები, რომლებიც ფოკუს-ჯგუფების მუშაობაში მონაწილეობდნენ, სამბობენ, რომ ოჯახში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის (მეუღლე, შვილი, მშობელი და სხვა) მოვლა ძირითადად მათი ტვირთია, რაც მნიშვნელოვნად ზღუდავს ქალთა თავისუფლებასა და სხვა სახის საქმიანობაში მონაწილეობას. მათ აღარ რჩებათ დრო საკუთარი შესაძლებლობების რეალიზებისათვის, ასევე, არ რჩებათ ფული, რათა საჭიროების შემთხვევაში განახორციელონ ექიმთან ვიზიტი, იზრუნონ თუნდაც ჯანმრთელობის პრობლემების მოგვარებაზე,

3.5 შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საჭიროებების უგულვებელყოფა და ვალდებულებების შეუსრულებლობა სოფლის (ოჯახის) ექიმების მხრიდან

ერთ-ერთი მწვავე პრობლემა, რომელიც გამოიკვეთა რეგიონებში ფოკუს-ჯგუფების საქმიანობის დროს, არის მედიცინის სფეროს მუშაკთა (სოფლის

(ოჯახის)) ექიმების მხრიდან ვალდებულებების შეუსრულებლობა, რაც გამოხატება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საჭიროებების უზრუნველყოფაში.

გაეროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ კონვენციის თანახმად, მონაწილე სახელმწიფოები ყველა შესაბამის ზომას მიმართავენ, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის ჯანდაცვის სფეროს სამსახურების მისაწვდომობის უზრუნველსაყოფად; ჯანდაცვის პროფესიონალებს მოეთხოვებათ თანაბარი ხარისხის მომსახურება გაუწიონ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს, მათ შორის თავისუფალი და ინფორმირებული თანხმობის საფუძველზე, ადამიანის უფლებების, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ავტონომიისა და საჭიროებათა შესახებ ცნობიერების ამაღლებით, მათ შორის სოფლად (მუხლი 24).

გასვლითი შეხვედრების დროს მიღებული ინფორმაციის თანახმად, არაერთი მოქალაქე წლების განმავლობაშია დარჩენილი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის სტატუსის გარეშე იმ მიზეზით, რომ მედიცინის მუშაკთა მხრიდან არ მოხდა მათი ინფორმირება, სათანადო სადიაგნოსტიკო გამოკვლევებისა და დოკუმენტაციის მომზადება სამედიცინო-სოციალურ ექსპერტიზაზე გაგზავნის მიზნით.

ი. მ. ისათვის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის სტატუსის მინიჭების პრობლემა

საგარეჯოს მუნიციპალიტეტში გასვლითი შეხვედრის დროს საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის წარმომადგენლებისათვის ცნობილი გახდა, რომ სოფელ იორმულანლოში მცხოვრებ მოქალაქე ი.მ.-ს ბავშვობიდან არც ერთი ხელის მტევანზე არა აქვს თითები (ამჟამად არის 22 წლისა). არა აქვს დადგენილი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის სტატუსი. მას ოჯახის წევრები (მამა, ძმა) ეხმარებიან ყოველდღიური საჭიროებების (ყოველდღიური მოვლა, ჰიგიენური პროცედურები, საკვების მიწოდება) მოგვარებაში.

ასევე, არ მომხდარა საგარეჯოს მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოქალაქეების რ. გ.-ს, ა.ა.-ს და თ. ბ.-ს გაგზავნა სამედიცინო-სოციალურ ექსპერტიზაზე. მათ არა აქვთ დადგენილი სტატუსი, შესაბამისად, ვერ იღებენ სახელმწიფო სოციალურ პაკეტს, ვერ სარგებლობენ სხვა შეღავათებით.

3.6 ფსიქოტროპული მედიკამენტების მიწოდების პრობლემა

კიდევ ერთი პრობლემა, რომელიც დაფიქსირდა რეგიონებში, არის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში შესაბამისი საჭიროების მქონე პირების უზრუნველყოფა ფსიქოტროპული მედიკამენტებით.

მოცემულ შემთხვევაშიც გამოიკვეთა მედიცინის მუშაკთა პასიურობა სათანადო ინფორმაცია მიაწოდონ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს, მათ კანონერ წარმომადგენლებს.

გარდა ამისა, ფოკუს-ჯგუფების მონაწილეები აღნიშნავენ, რომ პირისათვის, რომელიც იღებს მედიკამენტს სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში, პრობლემას წარმოადგენს სამკურნალო საშუალებების შექენა რეგიონებში, რადგან იქ არ არის აფთიაქები, რომლებიც გასცემენ ფსიქოტროპულ მედიკამენტებს.

ბოლნისის მუნიციპალიტეტის სოფელ ბოლნისში მცხოვრები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები ს.ბ.-იანი და ა. ვ.-იანი ექიმთან ვიზიტზე დადიან მარნეულში. დანიშნული აქვთ ფსიქოტროპული მედიკამენტი, რომელიც ეძლევათ რუსთავში.

3.7 გარემოს ხელმისაწვდომობა

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მიერ ადამიანის უფლებების განხორციელება შეუძლებელია ხელმისაწვდომი გარემოს გარეშე. აღნიშნული პრობლემა ქვეყნის მასშტაბით დღემდე ერთ-ერთ მთავარ გამოწვევად რჩება.

რეგიონებში უხეშად არის დარღვეული გარემოს ხელმისაწვდომობაზე კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები.

სამედიცინო დაწესებულებების, საჯარო სკოლების (გარდა ახალი შენობებისა), სხვა სახელმწიფო და კერძო დაწესებულებების ინფრასტრუქტურა, საჯარო სარგებლობის სატრანსპორტო საშუალებები არ არის ხელმისაწვდომი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის, რაც მნიშვნელოვან ბარიერებს ქმნის ამ პირების საზოგადოებაში ინკლუზიისათვის.

გარემოს ხელმისაწვდომობის მკვეთრი შეზღუდვიდან გამომდინარე, მათთვის გაძნელებულია საცხოვრებელი ადგილებიდან გამოსვლა გადაადგილების მიზნით.

არაადაპტირებული სასწავლო დაწესებულებები (სკოლები) ვერ უზრუნველყოფენ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოსწავლეთა ჩართულობას სასწავლო პროცესში.

მუნიციპალიტეტების მასშტაბით(მცირე გამონაკლისის გარდა) არ ფუნქციონირებს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებზე ადაპტირებული სამედიცინო დაწესებულებები და ა.შ.

ამ პრობლემას საქართველოს სახალხო დამცველი თავის სპეციალურ და საპარლამენტო ანგარიშებში ყოველწლიურად ეხება, თუმცა საკითხი კვლავ მოუგვარებელია.

3.8 მარნეულის იუსტიციის სახლის ხელმისაწვდომობის პრობლემა

მარნეულში გამართული ფოკუს-ჯგუფის მუშაობის დროს ცნობილი გახდა, რომ მარნეულში მდებარე იუსტიციის სახლის შენობა ხელმისაწვდომი არ არის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის.

როგორც შეხვედრის ერთ-ერთმა მონაწილემ, ეტლით მოსარგებლე პირმა აღნიშნა, მას ესაჭიროებოდა საქართველოს მოქალაქის პასპორტის დამზადება. თუმცა იმ მიზეზით, რომ შენობას არა აქვს პანდუსი, დაბრკოლება შეექმნა შენობაში შესვლის დროს.

3.9 ახალქალაქის საჯარო სკოლების ხელმისაწვდომობა

ახალქალაქში ვიზიტის დროს შეხვედრის მონაწილეებმა ისაუბრეს საჯარო სკოლების ხელმისაწვდომობის შესახებ.

ახალქალაქში მხოლოდ ერთი, ახალი შენობის მქონე საჯარო სკოლის ინფრასტრუქტურა აკმაყოფილებს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საჭიროებებს.

3.10 სამედიცინო-სოციალური ექსპერტიზის განმახორციელებელი სამედიცინო დაწესებულებების გეოგრაფიული ხელმისაწვდომობა

რეგიონებში განსაკუთრებული სიმწვავეთ დგას სამედიცინო-სოციალური ექსპერტიზის განმახორციელებელი სამედიცინო დაწესებულებების გეოგრაფიული ხელმისაწვდომობის პრობლემა, რაც აფერხებს სხვადასხვა შეზღუდვის მქონე პირებისათვის სტატუსის მინიჭების პროცედურას.

პირის ჯანმრთელობის მდგომარეობის სიმძიმის, ადაპტირებული სატრანსპორტო საშუალებების არარსებობისა და მძიმე ეკონომიკური მდგომარეობის გამო მოქალაქეთა დიდი ნაწილი მოკლებულია შესაძლებლობას სამედიცინო-სოციალური ექსპერტიზის გასავლელად გადაადგილდეს სხვა ქალაქში (მაგალითად, ბოლნისის მუნიციპალიტეტში შემავალი სოფლიდან რუსთავში, საგარეჯოს მუნიციპალიტეტიდან გურჯაანში და. ა.შ.). აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ მოქალაქეები არ ფლობენ ინფორმაციას კანონმდებლობით დადგენილი რეგულაციების შესახებ, რომლის თანახმად, სამედიცინო დაწესებულების ექსპერტთა ჯგუფი გასვლით სხდომას ატარებს იმ მძიმე ავადმყოფის შესამოწმებლად, რომელსაც ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო არ შეუძლია

გამოცხადდეს დაწესებულებაში. შესაბამისად ისინი რჩებიან სტატუსის მინიჭებისა და სახელმწიფოს მიერ დადგენილი სოციალური ბენეფიტების გარეშე.

მოცემული პრობლემა შეიძლება განხილულ იქნეს სოფლის(ოჯახის) ექიმების მხრიდან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საჭიროებების უგულებელყოფისა და ვალდებულებების შეუსრულებლობის პრობლემასთან ერთართად, რადგან სწორედ მედიცინის სფეროს მუშაკთა ვალდებულებას წარმოადგენს მოქალაქისთვის ინფორმაციის მიწოდება ზემოთ აღნიშნული წესის თაობაზე.

მოქალაქე მ.მ.-იანის უფლების სავარაუდო დარღვევა

საქართველოს სახალხო დამცველის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ცენტრის წარმომადგენლებს ბოლნისის მუნიციპალიტეტის სოფელ ბოლნისში ვიზიტის დროს ეცნობათ მოქალაქე მ.მ.-იანის უფლების სავარაუდო დარღვევის შესახებ.

მ.მ.-იანს 22 წელია აქვს ფსიქიკური პრობლემები, მაგრამ არა აქვს განსაზღვრული სტატუსი. აღნიშნული პირის ჯანმრთელობის მძიმე მდგომარეობის გამო ოჯახი ვერ ახერხებს მის ტრანსპორტირებას რუსთავეში სამედიცინო ექსპერტიზის გავლის მიზნით. არ ფლობენ ინფორმაციას ექსპერტიზის ბიუროს მიერ გასვლითი ხდომის ჩატარების ვალდებულების თაობაზე.

3.11 ინკლუზიური განათლების უფლების სრულფასოვანი რეალიზების პრობლემა

ფოკუს-ჯგუფების მუშაობის დროს გამართულ დისკუსიებზე ყურადღება გამახვილდა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის ინკლუზიური განათლების, პროფესიული განათლებისა და დასაქმების კუთხით არსებულ ხარვეზებზე. გამოვლინდა, რომ ბევრი მოქალაქე არ ფლობს ინფორმაციას იმ პროცედურების შესახებ, რომლებიც უკავშირდება დასახელებული უფლებების განხორციელებას, მათ ნაწილს არა აქვს ინფორმაცია შინ სწავლების პროგრამის შესახებ.

ამასთან, როგორც ფოკუს-ჯგუფში მონაწილე პედაგოგებმა აღნიშნეს, შინ სწავლების პროგრამის ფარგლებში მათ აქვთ მეტი დატვირთვა, თუმცა არა აქვთ დამატებითი ანაზღაურება.

საჯარო სკოლების ინფრასტრუქტურა ერთ-ერთი ხელისშემშლელი ფაქტორია ფიზიკური შეზღუდვის მქონე ბავშვების მიერ განათლების უფლების სრულყოფილი რეალიზებისათვის.

რეგიონებში არ არის პროფესიული კოლეჯი, სადაც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები შეძლებენ საკუთარი შესაძლებლობის ფარგლებში პროფესიის შესწავლას, მის შემდგომ გამოყენებას.

ა.ბ.-ვის განათლების უფლების სავარაუდო დარღვევის ფაქტი

ლაგოდების მუნიციპალიტეტში გამართული შეხვედრის დროს მიღებული ინფორმაციის თანახმად შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი ა.ბ.-ვი არ იღებს განათლებას. მისი კანონიერი წარმომადგენელი ითხოვს ა.ბ.-ვის ჩართვას ინკლუზიური განათლების პროგრამაში.

3.12 სმენისა და მეტყველების შეზღუდვის მქონე პირის განათლების მიღების უფლების შეზღუდვა

საგარეჯოს მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოქალაქე ა.ბ.-ი არის სმენისა და მეტყველების შეზღუდვის მქონე, არ იღებს სპეციალურ განათლებას. ცხოვრობს მოხუც ბებიასთან ერთად, რომელიც არ მიიჩნევს საჭიროდ მის საგანმანათლებლო პროცესში ჩართვას.

ა.ბ.-ს ესაჭიროება ინკლუზიური განათლების პროგრამის ფარგლებში სპეციალური განათლებით უზრუნველყოფა.

განათლების უფლების რეალიზების საჭიროება აქვთ ასევე ლაგოდების მუნიციპალიტეტში მცხოვრებ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს, დებს ე. და ს. მ.-ებს.

სმენისა და მეტყველების არმქონე და/ან შეზღუდვის მქონე პირებისათვის ერთ-ერთი სერიოზული პრობლემაა სპეციალური სკოლების არარსებობა საქართველოს რეგიონებში. ქვეყნის მასშტაბით ფუნქციონირებს მხოლოდ ორი სპეციალური სკოლა - დასავლეთ საქართველოსა (ქუთაისი) და აღმოსავლეთ საქართველოში (თბილისი). ასევე პრობლემაა ისეთი ლოგოპედის არსებობა, რომელიც ფლობს ეროვნული და ეთნიკური უმცირესობების ენებს.

დამხმარე საშუალებით-კოხლყარით მოსარგებლე პირებს აქვთ სმენის აპარატის ფუნქციონირებისათვის აუცილებელი ელემენტების შეძენის პრობლემაც, რადგან ეს საკითხი მნიშვნელოვან ხარჯებთანაა დაკავშირებული.

შ. ა.-ის საქმე

ლაგოდების მუნიციპალიტეტში მცხოვრები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვის შ. ა.-ის პაპამ სახალხო დამცველის აპარატის წარმომადგენლებთან საუბრის დროს აღნიშნა, რომ მის შვილიშვილს აქვს სმენისა და მეტყველების შეზღუდვა, სარგებლობს კოხლყარით, მაგრამ უჭირს კომუნიკაცია, საჭიროებს მშობლიურ (აზერბაიჯანულ) ენაზე მომუშავე ლოგოპედს. ოჯახის წევრების მცდელობის მიუხედავად, ვერ იღებს აღნიშნულ მომსახურებას. ამასთან, ყოველთვიურად ესაჭიროება ელემენტების შეძენა სმენის აპარატისთვის (200 ლარი). აღნიშნულ ხარჯის გაწევა უხდება ოჯახს.

3.13 ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეთა გადამზადების საჭიროება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების უფლებებისა და სახელმწიფო ვალდებულებების თაობაზე

როგორც უკვე ითქვა, ერთ-ერთ მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების საკითხებში საზოგადოების დაბალი ცნობიერება. აღნიშნული პრობლემა ეხება ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებსაც, რომლებიც მოცემულ სფეროში მეტად მწირ და ზოგად ინფორმაციას ფლობენ; და თუმცა, მათ იციან თვითმმართველ თემში მცხოვრებ პირთა პრობლემები, მაგრამ არ იციან მათი გადაჭრის გზები და საშუალებები.

რეგიონებში მცხოვრებ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების ჯეროვანი დაცვის მხრივ მნიშვნელოვანია ადგილობრივი თვითმმართველობების როლის გაზრდა, მათი ჩართვა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა პოლიტიკური და სამოქალაქო უფლებების რეალიზების საქმეში. ამ მიზნის მისაღწევად პირველ რიგში აუცილებელია ადგილობრივი ხელისუფლების მოხელეთა ინფორმირება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებებისა და საჭიროებების შესახებ, ამ უფლებების დაცვის სფეროში სახელმწიფო ინსტიტუტების როლისა და უფლებამოსილებების შესახებ; საჭიროების შემთხვევაში სწავლება/გადამზადება, რაც შემდგომში შესაძლებელს გახდის მათი საქმიანობის წარმართვას არსებული პრობლემების მოგვარების მიმართულებით.

3.14 რეგიონებში სამოქალაქო სექტორის გაძლიერების აუცილებლობა

რეგიონებში გამართული ფოკუს-ჯგუფების საქმიანობის დროს გამოიკვეთა სამოქალაქო სექტორის, მათ შორის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მონაწილეობით ორგანიზაციების შექმნისა და არსებულის გაძლიერების აუცილებლობა, რათა ისინი აქტიურად ჩაერთონ ამ პირთა უფლებადაცვით საქმიანობაში, სპეციალური საჭიროების მქონე თემისთვის ინფორმაციის ორგანიზებულად მოგროვებასა და მიწოდებაში, საზოგადოების ცნობიერების ამაღლების მიმართულებით განხორციელებულ საქმიანობაში.

არასამთავრობო სექტორმა ყურადღება უნდა დაუთმოს განსაკუთრებული საჭიროებების მქონე ადამიანების პრობლემატიკის ანალიზს, რაც საფუძვლად დაედება ამავე ორგანიზაციების მიერ მოსახლეობის საჭიროებაზე მორგებული სერვისების შეთავაზებას.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა გაძლიერება, რადგან მათი უმრავლესობა დღემდე მოკლებულია პიროვნული რეალიზაციისა და სრულფასოვანი ცხოვრების შესაძლებლობას. ამდენად აუცილებელია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებმა უშუალო მონაწილეობა მიიღონ სამოქალაქო პროცესებში, მოხდეს მათი შესაძლებლობების რეალიზაცია, რაც სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ამ პირთა საზოგადოებაში ინკლუზიის, მათი ღირსეული ცხოვრებისათვის.

გარდა ზემოთ განხილული პრობლემებისა, რეგიონებს სიძნელეებს უქმნის სახელმწიფო პროგრამებისა და თემის საჭიროებებზე დაფუძნებული სერვისების არარსებობა, დამხმარე საშუალებებთან მიუწვდომლობა, მედიკამენტების შექმნის პრობლემა, მოქალაქეთა პასიურობა უფლებათა დაცვის კუთხით და სხვ.

4 სავარაუდო უფლება-დარღვევების შესწავლა

პროექტის ფარგლებში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლების სავარაუდო დარღვევის რეგიონებში გამოვლენილ 27 ფაქტზე საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა დაიწყო საქმის შესწავლა. მათი უმრავლესობა ეროვნულ და ეთნიკურ უმცირესობებს შეეხება.

5 საქართველოს სახალხო დამცველის რეკომენდაციები

საქართველოს სახალხო დამცველი რეკომენდაციით მიმართავს საქართველოს მთავრობას:

- შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საარსებო წყაროსა და დასაქმების უზრუნველყოფის მიზნით განახორციელოს მათი ეკონომიკური საქმიანობის ხელშეწყობა და ამ პირთა ინკლუზიის მხარდამჭერი სხვა ღონისძიებები, გენდერული თანასწორობის დაცვით.
- ხელი შეეწყოს რეგიონებში მცირე ბიზნესისა და მეწარმეობის პროგრამების განხორციელებას, რომლებიც წაახალისებენ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საქმიანობას ამ მიმართულებით, შესაბამისი ცოდნისა და უნარ-ჩვევების შექმნას;

საქართველოს სახალხო დამცველი რეკომენდაციით მიმართავს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს:

- უზრუნველყოს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის განკუთვნილი სოციალური მომსახურებებისა და ფულადი გასაცემლების გაუმჯობესება ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით.
- უზრუნველყოს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ჯანმრთელობის დაზღვევის სისტემის გაუმჯობესება, მათ საჭიროებებზე მორგებული სამედიცინო მომსახურების მიწოდება, გენდერული ასპექტების გათვალისწინებით;
- საქართველოს რეგიონებში გადაიჭრას სამედიცინო-სოციალური ექსპერტიზის განმახორციელებელი სამედიცინო დაწესებულებების გეოგრაფიული ხელმისაწვდომობის პრობლემა;
- უზრუნველყოს რეგიონებში მედიცინის სფეროს მუშაკთა (სოფლის (ოჯახის) ექიმების) გააქტიურება ჯანმრთელობის დაცვისა და სამედიცინო დაზღვევის სახელმწიფო პროგრამების, ჯანდაცვის სფეროში არსებული სხვა ღონისძიებების შესახებ მოსახლეობისათვის ინფორმაციის მიწოდების მიზნით.

საქართველოს სახალხო დამცველი რეკომენდაციით მიმართავს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს:

- უზრუნველყოს ინკლუზიური განათლების ხელშემწყობი ღონისძიებების, მათ შორის საინფორმაციო ხასიათის ღონისძიებების, გატარება რეგიონებში მცხოვრები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებისათვის, რათა რეალიზებულ იქნეს ამ პირთა უფლება ინკლუზიურ სკოლამდელ, ზოგად, უმაღლეს და პროფესიულ განათლებაზე;
- აქტიურად წარმართოს სასწავლო დაწესებულებების ფიზიკური გარემოს ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის პროცესი.

საქართველოს სახალხო დამცველი რეკომენდაციით მიმართავს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს:

- უზრუნველყოს საზოგადოებრივი დანიშნულების ობიექტებისა და მომსახურების, მათ შორის საჯარო დაწესებულებების, ფიზიკური გარემოს ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის პროცესის აქტიურად წარმართვა.

საქართველოს სახალხო დამცველი რეკომენდაციით მიმართავს საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს:

- უზრუნველყოს ადგილობრივი თვითმმართველობის საჯარო მოსამსახურეთა უწყვეტი სწავლების სისტემის განვითარების შესახებ წინადადებების შემუშავების პროცესში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებთან დაკავშირებული პრობლემებისა და საჭიროებების შესახებ ინფორმაციის გათვალისწინება;
- ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების ჩართულობა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა პრობლემების მოგვარების საკითხში.

საქართველოს სახალხო დამცველი რეკომენდაციით მიმართავს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს:

- ადგილობრივი ბიუჯეტის შემუშავების დროს უზრუნველყონ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის თანაბარი შესაძლებლობების მხარდამჭერი პროგრამებისა და ღონისძიებების დაგეგმვაში ამ პირთა, მათ შორის ქალთა ან/და მათი წარმომადგენლობითი ორგანიზაციების, მონაწილეობა და გადაწყვეტილებების მიღების პროცესში მათი ჩართულობა;
- შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს დროულად და მათთვის მისაწვდომი ფორმით ეცნობოთ ადგილობრივი მუნიციპალიტეტების მიერ განხორციელებული პროგრამების/ღონისძიებების შესახებ.

საქართველოს სახალხო დამცველი რეკომენდაციით მიმართავს საზოგადოებრივ მაუწყებელს და რეგიონულ მედიასაშუალებებს

- უზრუნველყონ საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებთან დაკავშირებულ საკითხებზე, მათ შორის: კორექტული ტერმინოლოგიის გამოყენებისა და პოზიტიური განწყობის ჩამოყალიბების, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სტიგმატიზაციისა და დისკრიმინაციის აღმოფხვრის, ამ პირთა უფლებებისა და ღირსების პატივისცემის საკითხებზე;
- უზრუნველყონ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის საგანმანათლებლო, შემეცნებითი და საინფორმაციო გადაცემების ხელმისაწვდომობა;
- საზოგადოებისათვის ინფორმაციის მიწოდების დროს აქტიურად იქნეს გამოყენებული ჟესტების ენა.

საქართველოს სახალხო დამცველი რეკომენდაციით მიმართავს ინტერნეტ-პროვაიდერებს:

- სერვისის მიწოდებისას აქტიურად დაუჭირონ მხარი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის ხელმისაწვდომი ფორმების გამოყენებას.

დანართი 1

გასვლითი შეხვედრების სტატისტიკა

N	მუნიციპალიტეტი	თარიღი	მონაწილეთა რაოდენობა
1	საგარეჯო-სოფ. იორმუღანლო	12.11.14	24
2	ლაგოდეხი-სოფ. კაბალი	13.11.14	16
3	ახმეტა-სოფ.ჯოყოლო	14.11.14	19
4	ახმეტა-სოფ. დუისი	14.11.14	6
5	ბოლნისი-სოფ. ბოლნისი	21.11.14	14
6	მარნეული	24.11.14	17
7	ახალქალაქი	25.11.14	15
8	ახალქალაქი (დღის ცენტრი)	25.11.14	6
	სულ		117